გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893


**ანნა ანდრიას ასული ჯმუხაძისა შვილებითურთ,** აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა, ხოლო დანარჩენნი მამისა **დავით გლახას ძის ჯმუხაძისას,** სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის პანაშვიდზედ 18 აგვისტოს, საღამოს 7 საათზედ, ოზშრესტვენის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში. მიცვალებულის დასაფლავება 19 აგვისტოს იქმნება კუკიის სასაფლაოს ეკკლესიის გალავანში. მიცვალებულს გასვენებენ კალოუბნის ეკკლესიაში დილის $9\frac{1}{2}$ საათზედ. (2—2)

## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

**ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში** ამ ჟამად იატაკსა სცვლიან და ეკკლესიაში დასაფლავებულთა საფლავების ქვები აყრილ იქმნება. ამიტომ სთხოვენ მიცვალებულთა პატრონთ, მარმარილოს ქვები წარადგინონ ზედ წარწერით, უბრალო ქვების მაგივრად. (3—2)

## რესპუბლიკის გამარჯვება

—

საფრანგეთის რესპუბლიკა მშვიდობიანად გამოვიდა დეპუტატთა კრების კენჭის ყრითგან. საფრანგეთის ერმა კიდევ აღიარა, რომ იგი თანასწორად ჰგმობს რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთა, როგორც მონარხიელებს, აგრედვე უკიდურესი რესპუბლიკის მომხრეებს.

ამ ასი წლის განმავლობაში საფრანგეთმა თორმეტჯერ გამოიცვალა მართებლობა და საკმაო კარგად ჰქონდა შემთხვევა, რომ დაჰკვირვებოდა, თუ როგორა სჯობს ერის ცხოვრების მოწყობა.

მართალია, ეხლანდელი საფრანგეთის რესპუბლიკა არა ჰგავს 1793 წლის იმავე ქვეყნის რესპუბლიკას, რომელსაც დაჰქონდა მთელს ევროპაში და აზიაში თავის სალდათების შუბებზედ თავისუფლება ყველა ერთათვის, არა ჰგავს იმ რესპუბლიკას, რომელმაც დაანახვა ცას ქვეშეთს მრავალი დიდ ბუნებოვანი და შესანიშნავი მომქმედი კაცი თვის შორის, მაგრამ ხალხს მაინც აქვს საფუძველი, რომ ემხრობოდეს ეხლანდელ წეს-წყობილებას.

ნაპოლეონ III-საგან გაოხრებული, დამცირებული და გალანძღული საფრანგეთის ერი ამ ოცდა-ორი წლის განმავლობაში ისევ აღსდგა, ისევ მოიპოვა ალაგი „ევროპის კონცერტში“, ე. ი. ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა შორის და დღეს არც ერთი დიდი საქმე ევროპისა, აზიისა და აფრიკისა საფრანგეთის პრეზიდენტის დაუკითხავად აღარ გადაწყდება.

ამასთან უნდა დავსძინოთ ისიც, გარდა ძლიერის მხედრობისა და ფლოტისა, რომელიც გაიჩინა რესპუბლიკამ, ქვეყნის სიმდიდრემაც უფრო და უფრო იმატა. რასაკვირველია, ყველა ამის შემხედი საფრანგეთის ერი თანაუგრძნობს რესპუბლიკურ მართველობას და იმედობს, რომ დაიბრუნოს ძველი დიდების სახელი, ჩამორთმეული ქვეყნები და, უთუოდ, გადახდილი თავისი ხუთი ათასი მილლიონი ფრანკიც.

ამ განზრახვით საფრანგეთის რესპუბლიკა დაუახლოვდა რუსეთის იმპერიას და ოცნებობს რუსეთის ჯარის დახმარებით მიაღწიოს თავის აზრს.

მეგობრობა და კავშირი ერთა შორის, რასაკვირველია, სასიამოვნო სანახავია, მაგრამ როდესაც კავშირს და სიყვარულს მიზნად პირადი ანგარიში აქვს და არა ხასიათის და მთელი ადამიანის ბუნების მზგავსება მოკავშირისა მაშინ საეჭვოა, რომ ანგარიშზე აშენებულმა შეგობრობამ და აღტაცებამ დიდი რამ სასარგებლო ნაყოფი მოუტანოს რომელიმე მხარეს!

მაგას გარდა, საფრანგეთის დაუდეგარი და ადვილად აღტაცებული ხალხის დამოკიდებულება და იმედი დიდი არ უნდა იქონიოს, რუსეთმა, რადგანაც საფრანგეთში ყველაფერი ერთ მცირე შემთხვევაზეა დამოკიდებული. საკმაო არის ფრანცუზისთვის, რომ მას მოეწონოს რომელიმე ლამაზად ცხენზედ მჯდომი გენერალი და იგი ერთიანად დანებდება და გაჰყვება ამ გუშინდელ უცნობ გმირს.

რასაკვირველია, საფრანგეთშიც არის მრავალი ფხიზელი და გონიერი აზრის კაცი, რომელთაც ვერ ააჩქარებს და ვერ გაიტაცებს გარეგნობა, მაგრამ ჩვენ ვამბობთ უმრავლესობაზედ, და ეს უმრავლესობა დიდათ და დიდათ საფრთხილოა.

ჩვენი დგმა, უთუოდ, მოესწრება ევროპის სახელმწიფოთა საქმეების არევას და მრავალთა ქვეყნებთა რუკას, გარდაქმნას, მაშინ ვნახოთ როგორ მოიხმარს საფრანგეთის ერი ესოდენ დვაწლით და შრომით შეძენილს ძლიერებას და რუსეთთან ერთი ერთობის კავშირს.

მანამდის-კი სჯობს ყოველმა ქვეყანამ მხოლოდ თავის თავის იმედი იქონიოს და თავის საკუთარი საქმეებს მოუაროს.

მეველე

—◆◆—

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

17 აგვისტოს, დილით, მიხეილის საავადმყოფოში ორი ხოლერით ავადმყოფი იყო.

სამშაბათს, აგვისტოს 17-ს მიხეილის საავადმყოფოში სამი ხოლერით ავადმყოფი მიიყვანეს: 1) პოლიციის მესამე განყოფილებიდგან ოვსო ხაზაროვი, რომელიც სცხოვრობდა პატარა ვანქის ქუჩაზე ბარყოევის (გასპაროვის) სახლში; 2) პოლიციის მეხუთე განყოფილებიდგან მარიამ შეგალი (იგივე სეგალი), რომელიც სცხოვრობდა დიდ ტალახის ქუჩაზე, სადაგოვის სახლში; და 3) პოლიციის მეშვიდე განყოფილებიდგან ზინაიდა ფატეევისა, რომელიც სცხოვრობდა პეტრე-პავლის ქუჩაზე, ტატულოვის სახლში

გუშინ, 18 აგვისტოს, მიხეილის საავადმყოფოში სულ ხუთი ხოლერით ავადმყოფი იყო.

16 აგვისტოს სამხედრო საავადმყოფოში მიიყვანეს ავლაბრიდგან, სინოდის ქუჩიდგან, ვართანოვის სახლიდგან № 8, ქვის მთლელი მერაბოვი, რომელიც იმავე დღეს გარდა-

# ფელეტონი

—

## სიტყვა,

თქმული სააზნაურო სკოლის საზოგადოების წლიურ კრებაზედ, 30 აპრილს 1893 წელსა*).

რამდენისამე წამის წინად აქ, ამ კრებაში, ერთმა ორატორმა წარმოსთქვა ის აზრი, რომ სააზნაურო სკოლა დაარსებულია ღარიბთათვის, მდიდრები სხვა სკოლებშიაც ადვილად გამოზრდიან თავის შვილებსო. თავისი აზრი დააფუძნა წესდებულების სათაურზედ: Общество дворянъ тифлисской губерніи для содѣйствія нуждающимся въ обученіи.

ამ სათაურის გაგება ისე, როგორც ბრძანებს ორატორი, შეცდომად უნდა ჩაითვალოს. მე მქონდა პატივი მონაწილეობა მიმეღო წესდებულების შედგენაში და უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოების დამფუძნებელნი და წესდებულების შემდგენელნი გამსჭვალულნი იყვნენ წადილით—დაეარსებინათ პედაგოგიურად განწყობილი სასწავლებელი, სადაც, საზოგადო განათლების გარდა, ჯეროვანი ადგილი ჰქონოდა ყოველს იმას, რაცა ზრდის მოწაფეებში ქართულს სულსა და გულს და ამკობს მათ ყოველ ეროვნულ ღირსებითა, თავისებურობითა. ამისთანა სასწავლებლის დაარსება დიაღ რომ უპირველესს საჭიროებას შეადგენდა, რადგანაც ქართული სული და გული ყველა სხვა სასწავლებლებში არამც თუ მივიწყებულია, არამედ განდევნილია.

ახლა ვიკითხოთ: ნუ თუ ქართული ეროვნული ღირსებანი, წრფელი მამულიშვილობა მარტო ღარიბთათვის არის საჭირო და არა ყველა ქართველისათვის? განა ერთს მდიდარს მამულიშვილს ქვეყნისათვის ათჯერ მეტის სიკეთის მოტანა არ შეუძლიან, ვიდრე რამდენსამე ღარიბსა? ჩვენს სკოლაში რომ მარტო ღარიბები მოვაქციოთ და მდიდრები გარეშე სკოლებს ვარგუნოთ, რა სურათს მივიღებთ?

უსაფუძვლოა აგრედვე ის აზრი, წარმოთქმული მეორე ორატორის მიერ, ვითომ საქართველოში ყველანი ღარიბები იყვნენ. ღმერთმა ნუ მოგვასწროს ამას. მართალია, ვალი თითქმის ყველასა მართებს; მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თვით თანამედროვე კრეზი—როტშილდი უვალო როდია, იგიც ხანდახან სხვისაგან გაიმართავს ხოლმე ხელსა. მუხრანბატონს დიდი ვალი მართებს; მაგრამ მას ყველანი მდიდრად სთვლიან, რადგანაც იმისი დიდი ქონება ერთი ათად და ოცად სჭარბობს ვალსა. არა, ბატონებო, ჩვენში, ღვთის მადლით, ქონებიანნი, შემძლებელნი, მდიდარნი ჯერ კიდევ ბლომად არიან.

მაშ თუ ასეა, ვისთვის უნდა არსებობდეს ჩვენი სკოლა: ღარიბთათვის, თუ მდიდართათვის? ორთავესათვისა, მდიდარმაც და ღარიბმაც უნდა საზოგადო განათლებასთან ერთად აქ შეიხორცონ ქართული მამულიშვილობა, აივსნენ ქართულ თავისებურობით და გახდნენ ნამდვილნი, სრულნი ადამიანები, გამოსადეგნი თავის სამშობლოსათვის და სასარგებლონი სახელმწიფოსათვის, რომელთანაც განგებამ სამუდამოდ შეაერთა ჩვენი ბედი და უბედობა. მხოლოდ საქმე ის გახლავთ, რა გვარად უნდა მოიწყოს და მოიმართოს სააზნაურო სკოლა, რათა იგი მიეწიოს ამ მაღალს დანიშნულებასა?

მოსამზადებელის კლასების შესახებ ყველანი ერთნაირის აზრისანი არიან. ყველას ოთხის წლის კურსი მიაჩნია საჭიროდ და ამ კლასების დანიშნულებად ჰრაცხს—ამზადოს ქართველი ყმაწვილები შესასვლელად პირველს კლასში ყოველ გვარის სასწავლებლებისა. აზრის სხვა და სხვაობა იწყება იქიდგან, თუ რა სასწავლებელი უნდა მოვაბათ ზედ ამ მოსამზადებელს სკოლასა.

ერთნი იმ აზრისანი არიან, რომ მოსამზადებელ კლასებიდგან სააზნაურო სკოლის მოწაფენი, რომელნიც-კი მართებლობის სასწავლებლებში არ შევლენ, უნდა შეუდგნენ პირდაპირ სამეურნეო სწავლის შეძენასაო. უნდა მოგახსენოთ, რომ სამეურნეო სასწავლებელი, ზედვე მიბმული მოსამზადებელს კლასებზედ, წარმოადგენს დაბალს სპეციალურს სასწავლებელსა. ამ გვარი სასწავლებელი აძლევს მხოლოდ ვიწროსა და მცირეს სპეციალურს ცოდნასა და ზრდის მხოლოდ სამეურნეო ჯარის კაცებსა, სამეურნეო სალდათებსა და

*) წლეულს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის პირველსავე კრებაზედ აღმოჩენილ იქმნა სეკრეტარიატი, რომელსაც ვალად დაადეს ეწერა დაწვრილებით, რაც-კი ითქმებოდა თვითეულს სხდომაზედ. ბევრს ეგონა, და მეც მათ შორის, რომ ეს სეკრეტარიატი სტენოგრაფიულს ანგარიშს შეადგენდა სააზნაურო სკოლის კრებისასაც. ქართული გაზეთებიც უთუოდ ამ იმედმა დაიხვია ხელზედ, რომ თითქმის კრინტი არ დაუძრავთ მის შესახებ, თუ რა ითქვა და რა მოხდა სკოლის კრებებზედ. ბოლოს აღმოჩნდა, რომ სეკრეტარიატს არაფერი ყურადღება არ მიუქცევია იმ ხანგრძლივ და მრავალ მხროვან ბაასისათვის, რომელმაც თითქმის ერთი კვირა გასტანა სკოლის საზოგადოების სხდომებზედ. არ შეიძლება ეს უყურადღებობა არ ჩაითვალოს სანანურად, რადგანაც წლევანდელს კრებაზედ უფრო მეტი, და საფუძვლიანათაც, ითქვა, ვიდრე წინედ: შემდეგს წლებში მთქმელთ დასჭირდებათ ხელ-ახლად გაუმეორონ საზოგადოებას, რაც წლეულ უთქვამთ და ერთხელ-კიდევ მოგვაგონონ ქრიაშვილის ისტორია, რომელიც, ჩვენდა საზარალოდ, ძლიერ ხშირად ახლდება. რასაკვირველია, შეუძლიანთ დასწერონ ნათქვამი და დაბეჭდონ. მაგრამ ამისთვის არავინ შეიწუხებს თავსა. და თუნდაც შეიწუხოს, სად გადაღება ცოცხალ სიტყვისა, თუ მას ჯეროვანი შესწავლა და მოფიქრება საგნისა უძღვის წინა,— ცოცხალი სიტყვისა, წარმოთქმულისა დიდ საზოგადოებაში, რომელიც ელექტრონული ძალით მოქმედებს სიტყვის მთქმელის ნერვებზედ და ტვინზედ და სადაც ყოველი სიტყვა და აზრი გაპრიალებულ ნაპერწკალივით იფრქვევა პირიდგანა, და სად ოთახში დაწერილი, ისიც კაი ხნის გასვლის შემდეგ, მეტადრე ზაფხულის პაპანაქებაში, როცა სისხლი ზანტად, მდორედ დაიზლაზნება ძარღვებში და ცეცხლებრივ სიტყვების მაგიერ ქაღალდზედ მწკრივდება ნელი სიტყვები. ეს მოსაზრება სხვას არ აალებინებს კალამს ხელში; მაგრამ მე-კი მიმდევარი ვარ ქართულ ანდაზისა: სულ არარაობასაო, და ამიტომ ვბეჭდავ ამ ჩემს სიტყვასა...

ი. გ.

იცვალა. აგვისტოს 17 ხოლერით ავად გახდა და სამხედრო საავადმყოფოში მიიყვანეს აფიცერი ტოლმაჩევი, რომელიც წინა დღეს თელავიდამ ჩამოსულა.

სამხედრო სამკურნალოში გუშინ დილით სულ სამი ხოლერით ავადმყოფი იყო.

17 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა ამიერ კავკასიის რკინის გზის სახელოსნოში მომუშავე სვიმონ ტარასოვი, რომელიცა სცხოვრობდა მეორე მალაკნების ქუჩაზე კლიმენტიევის სახლში № 19. ტარასოვი რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

გუშინ დილით რკინის გზის საავადმყოფოში მარტო ერთი ავადმყოფი იყო.

გუშინ დილით ტფილისში სულ ათი ხოლერით ავადმყოფი იყო.

# ახალი ამბავი

⁂ უმართებულესმა სინოდმა განიხილა წინადადება სინოდის ობერ-პროკურორისა, შესახებ მართლ-მადიდებელ სამღვდელოების ჯამაგირის მომატებისა, თანხმად უმაღლესის ბრძანებისა, და დაადგინა მიეწეროს ყველა მღვდელ-მთავართ, ეპარქიის უფროსთ, რომ მათ წარუდგინონ სინოდს ცნობანი ყველა ქალაქისა და სოფლების კრებულთა აწინდელ ქონებრივ მდგომარეობისა, მიუხედავად იმისა, იღებენ თუ არ იღებენ ჯამაგირს ხაზინისაგან, და მოახსენონ თვისი აზრი, რომელ კრებულს რავდენი ჯამაგირი უნდა დაენიშნოს. ამასთანავე ცნობები უნდა წარედგინოს სინოდს იმ შემთხვევაშიაც, როცა ცნობილ იქმნება საჭიროდ ახალის შტატის დაარსება რომელსამე ეპარქიაში. მღვდელ-მთავართ უნდა წარადგინონ არა უგვიანეს 1 სექტემბრისა ცნობანი იმ კრებულთა შესახებ, რომელნიც მეტად ღარიბნი არიან, რომ 1894 წლიდგან დაენიშნოთ ჯამაგირი, რომელიც-ორთაშუა რიცხვით უნდა იყოს მღვდლისათვის 300, მთავარ-დიაკვნისთვის 150 და მედავითნესთვის 100 მანათი წელიწადში.

სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორამ დაადგინა: ეცნობოს ეს ბრძანება ყოვლად-უსამღვდელოესთ: იმერეთისას, გურია-სამეგრელოისას, სოხუმისას და კავკავისას, რომელთაც კანკარგულება უნდა მოახდინონ ზემოხსენებულ ცნობების შეკრების შესახებ. რათა ეს ცნობები უნაკლულოდ იქმნას შედგენილი, ყოველ საბლაღოჩინომ კრება უნდა მოახდინოს, კრებულთა ყველა წევრის თანადასწრებით. კრებამ უნდა განიხილოს ცნობები და საჭიროებისამებრ შეასწოროს. ეს ცნობები წარედგინება საეპარქიო მღვდელ-თავართ და ისინი, თავის მოხსენებით, წარგზავნიან საქართველოს ექზარხოსთან. ქართლ-კახეთის ბლაღოჩინები-კი ამ ცნობებს პირ-და-პირ ექსარხოსს წარუგენენ.

ამას გარდა იმერეთისა, გურია-სამეგრელოისა და სოხუმის ეპარქიების ყოვლად-უსამღვდელოესს დაევალათ, რაც შეიძლება მალე წარმოადგინონ ცნობანი იმ კრებულთა შესახებ, რომელნიც მეტად ღარიბნი არიან, რომ იმათ სხვებზედ ადრე მიეცეთ შემწეობა ხაზინიდგან.

⁂ მკითხველებმა იციან, რომ 26 წარსულ ივლისს ვაჭრობით გასცა ქალაქმა 26 ნაჭერი საქალაქო მიწა იჯარით. 10 აგვისტოს გამგეობამ განიხილა ოქმი ვაჭრობისა და დაამტკიცა. დღეს გამგეობის მოხელენი ატარებენ უწყებებს და იწვევენ იჯარადრებს, რომ გამოცხადნენ იგინი და ხელშეკრულობის ქაღალდებს ხელი მოაწერონ. უკეთუ 20 სექტემბრამდე არ შეჰკრეს პირობის ქაღალდები, გამგეობა გააუქმებს ვაჭრობის ოქმსა. როგორც სჩანს, 26 ნაჭერ მიწაში სულ 3280 ოთხკუთხი საჟენია და ამ მამულში წლიური შემოსავალი ექმნება ქალაქს 1,778 მ., ე. ი. ორთა შუა ანგარიშით საჟენზე 54 კაპ. ყველას ერთგვარ პირობით ეძლევა ხსენებული მიწები. ვადა ექვსი წელიწადია. იჯარადარს შეუძლიან ამ ხნის განმავლობაში ააშენოს სახლი ტ იხმაროს მამული სურვილისამებრ. ხოლო 6 წლის შემდეგ უნდა მოუმატოს აწინდელს იჯას მანეთზედ ორი შაური და უფლება ეძლევა კვლავ ექვსის წლის ვადით შეეკრას გამგეობას. წლიური იჯარა უნდა შეიტანოს ორ ხელად, ერთი—წლის თავს, მეორე—წლის ნახევარში. უკეთუ დროზედ ვერ შეიტანა იჯარა, გამგეობა უწყებას გაუგზავნის და, თუ ერთის თთვის განმავლობაში, უწყების მიღების შემდეგ, მაინც არ შეიტანს ხვედრ ფულს, გამგეობას ამით მიეცემა უფლება გაუყიდოს შენობა და იქიდგან აიღოს თავისი ფული, დანარჩენი-კი უნდა დაუბრუნოს პატრონს. უკეთუ გაცემული ალაგი დასჭირდა ან თვით ქალაქს, ანუ ხაზინას, იჯარადარმა უწინაალმდეგოდ უნდა აიღოს ხელი ბინაზედ, ხოლო ქალაქი დაუბრუნებს შენობის საფასურს, თანხმად იმისა, როგორც ამ თავითვე დაფასდება მისი შენობები.

⁂ სამშაბათს, 17 აგვისტოს, ტფილისის საზებიო ინსტიტუტში დაიწყო მისაღები ეგზამენები. ეგზამენები იქმნება 25 აგვისტომდე.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასდო 250 მანათი ჩუღურეთში და ავლაბარში უფასო საჩაიეს გასამართავად.

⁂ სოფ. ნატოჩაო (სენაკის მაზრა): ეს-ეს არის აგვისულდა ამ ორის თთვის ნატვრა. ამ თთვის 15-ს, დილის ცხრა საათზე, ცა უცბად მოიღრუბლა და დაიწყო ქუხილი, მერმე დაუშვა ზაფხულის ჟუჟუნა წვიმა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ღმერთს ვევედრებოდით, ცოტა ხანს არ გადაეღო. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, წვიმამ თხუთმეტი წამი გასტანა და ისევ გადიღო. ეკკლესიებში პარაკლისებია და მდინარეებზედ ხატის ბანება. ხალხი ფეხშიშველა მიზდევს უკან მღვდელს და ცხარე ცრემლს აფრქვევს.

⁂ ს. მარტვილი (სამეგრელო), 16 აგვისტო: გვეგონა მშვიდობით გადავრჩით ხოლერას, როგორც შარშან, მაგრამ შენი მტერი. ივლისის დამლევს მარტვილის ახლო ს. ნალეფსოუს გაჩნდა ხოლერა. ეს თხუთმეტი დღეა, ხალხი იხოცება უპატრონოდ, დამრიგებელიც არავინ არის, რომ ხალხს ჩააგონოს, როგორ მოიქცეს, რომ თავს უშველოს. მოვიდა სიჩქარით გუბერნიის ექიმის თანაშემწე, ნახა ავადმყოფები და ისევ ქუთაისს წავიდა. გამოგვიგზავნეს ფერშალი, მაგრამ ერთი ფერშალი რას გახდებოდა ამდენ ავადმყოფებში! ხალხი მეტის მეტად შეშინდა, არ იცის, რა ჰქმნას. ის ერთი სოფელი მთლად ღვთის ანაბრადაა მიტოვებული. დ. ნაოლალევში პარასკეობით იციან იარმუკობა, გვინდოდა გადაგვედო, მაგრამ თითქმის ძალად მიგვიწვიეს სავაჭროდ. მხოლოდ თავგადადებით იბრძვის ხოლერის წინააღმდეგ ერთად ერთი სოფლის მამასახლისი. ვერაფერი მას ვერ აშინებს, მიდის პირდაპირ ავადმყოფთან და, რაც შეუძლია, შველის. მიცვალებულებს თავის ხელით მარხავს.

შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა 15-ს ამ თვისას. ერთი მიცვალებული, სახელად მიხეილ ბაჩილავა, რომელიც უპატრონოდ ეგდო, ძაღლმა შესჭამა. ამ გასაოცარმა შემთხვევამ ხალხო სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. გუბერნატორს დეპეშა დაუკრეს და დახმარება სთხოვეს.

⁂ აბაშა (სენაკის მაზრა): ამ თთვის 14-ს დ. აბაშის მახლობელ სოფელში ერთი მღვდელი გარდაიცვალა ხოლერის მინაგვარ ავადმყოფობით. ამნაირადვე კიდევ, როგორც ამბობენ, სოფ. მარტვილში (სენაკის მაზრაში) რამდენიმე კაცი გარდაიცვალა. ამ ამბავმა ძალიან შეაშინა აქაურები.

⁂ სოფ. ზედა-თეკლათი (სენაკის მაზრა); ნათქვამია: „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიემატაო". აი სწორედ, ასეთივე ამბავი დაგვემართა წელს ჩვენ. პირველად ის იყო, რომ ხანგრძლივის გვალვისაგან ყანების შემუშავება ზაფხულში მოგვიხდა და მოსავალს ნაკლებს მოველოდით, რადგანაც ნაგვიანევი ჯეჯილი ჩვენში ვერა ხეირობს. ახლა ამას ზედ დაერთო უფრო საშინელი გვალვა და ლამის სრულიად ხელი აგვაღებინოს წრევანდელ მოსავალზე. აღარ ვიცით, რა საშვალებას მივმართოთ.

⁂ სოფ. ლეტეში, (სენაკის მაზრა) 17 აგვისტო: ამ თთვის პირველ რიცხვებიდამ სოფელ ლეტესში თხუთმეტამდე კაცი გახდა ავად ფაღარათობით. ეს ამბავი მამასახლისმა ადგილობრივ მაზრის უფროს მოახსენა. მაზრის უფროსმა ექიმი გამოგზავნა ამ სენის გამოსაკვლელად. ექიმს ეს ავადმყოფობა ხოლერის მინაგვარად უცვნია. ამ სენით ექვსამდე გარდაიცვალა ქალი და კაცი. ამ ამბავმა დიდად დააფრთხო მთელი საზოგადოება. იმედია, ადგილობრივი ადმინისტრაცია, თუ მართლა ხოლერაა ეს ავადმყოფობა, თავის მხრით ყოველისფრით დიდს შემწეობას აღმოუჩენს საზოგადოებას და მით იხსნის განსაცდელისაგან...

⁂ გაზეთ „Нов. Обоз."-ს სწერენ ახალციხიდამ, რომ ამ ჟამად იქ იმყოფება წევრი ტფილისის საგუბერნიო მმართველობისა ბ-ნი ორლოვსკი. ორლოვსკიმ უნდა განიხილოს გენერალ ა. ი. მუსხელიშვილის საქმე, რომელსაც შარშან პოლიციასთან რაღაც უსიამოვნება ჰქონია.

ახალციხეში კუჭის ავადმყოფობით კიდევ ერთი გახდა ავად და კარგად გადარჩა. ნაგორნი ქუჩაზედ ავადმყოფი სარაჯიანციც უკვე რჩება.

⁂ 17 აგვისტოს ოლღას ქუჩაზე

---

მეტ-ნაკლებობით უძლურია ბლომი ცვლილება მოახდინოს ქვეყნის მეურნეობაში. ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ დაბალ სამეურნეო სასწავლებლის გახსნა ისე ძნელი არ არის, რომ მას შეექიდოს მთელი თავად-აზნაურობა. ამასთან სკოლების გახსნას კერძო შეძლებული თავადნი და აზნაურნიც მოახერხებენ, და კიდეც ახერხებენ. გახსნა დაბალი სამეურნეო სასწავლებელი ბატონმა წინამძღვრიშვილმა, გახსნეს ქუთაისში, ხსნიან გურიაში, გაიხსნება სხვა ადგილებშიც. ეს იმედი დამყარებულია იმაზედ, რომ დაბალი სამეურნეო სასწავლებელი სასარგებლოა ყველა მემამულესათვის კერძოდ, რადგანაც უმზადებს განვითარებულს მუშებს მის მამულსა, რომელიც ამის გამო შემოსავლით მატულობს და ფასიც უფრო დიდი ედება. თუ ეს დღეს ბევრს არ ესმის, ხვალ შეიგნებენ და შეძლებული მემამულენი თავის მამულში დაარსებენ დაბალს სამეურნეო სასწავლებელსა. ამითი იგინი თავის თავსაც არგებენ, ქვეყანასაც დაეხმარებიან და სახელსაც გაიკეთებენ, იმ კეთილს სახელსა, რომელსაც არც ერთი ადამიანი გულ-გრილად არ უყურებს. დაბალი სამეურნეო სწავლა სხვა მხრივაც მოეფინება ჩვენს ქვეყანას. მოგეხსენებათ, რომ დაბალს სასწავლებლებს როგორც საეროსა, ისე სასულიეროსა ახლა უმაღლესი მთავრობა აძლევს სამეურნეო ხასიათსა და ცდილობს საზოგადო დაბალ განათლებასთან შეათვისებინოს პრაქტიკულად დაბალი სამეურნეო სწავლაცა. ერთის სიტყვით, სხვა-და-სხვა გზით უკვე უმზადდება ჩვენს ქვეყანას სამეურნეო სალდათები, სამეურნეო ჯარის კაცები.

გარნა ყველას მოგეხსენებათ, რომ ბრძოლაში თვით კარგი სალდათები უძლურნი არიან, თუ მათ არა ჰყავთ განვითარებული და გაწვრთნილნი აფიცრები, გენერლები, წინამძღვარები. როგორ უნდა მოვუმზადოთ ჩვენს ქვეყანას, თავად-აზნაურებს და გლეხობას სამეურნეო ხელმძღვანელნი, მესვეურნი, სანატრელის გზის მაჩვენებელნი! საზოგადო საფუძვლიან განათლებით, რომელზედაც უნდა იქმნას აშენებული საფუძვლიანივე სპეციალური, სამეურნეო განათლება. აი გზა, რომელსაც ჩვენ უნდა დავადგეთ, თუ გვსურს, რომ დიდმა ხარჯმა უდიდესი სიკეთეც შეგვმატოს. ახლა ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ სპეციალური სწავლა უძლურია მეტ-ნაკლებობით, თუ მას წინ არ უძღვის საზოგადო განვითარება, რომელიც უხსნის ადამიანს ყოველს გვარს ნიჭსა და ჰყოფს მას სრულ ადამიანად. სპეციალისტი, მოკლებული საზოგადო განვითარებას, მოგაგონებს მაშინასა, რომელიც ერთს რამეს აკეთებს მეხანიკურად და სხვა რისამე რიგიანად გაკეთება მისთვის შეუძლებელია. ამისთანა ვიწრო სპეციალისტი ყოველს განსხვავებულს გარემოებაში იფანტება, ვერაფერს ახერხებს თავის თავად და გაკეთების მაგივრად საქმეს ადვილად აფუჭებს. ჩვენ სამეურნეო მაშინები-კი არ გვინდა, ჩვენ გვესაჭიროება სრულნი ქართველნი, განათლებულნი მამულიშვილნი, შეიარაღებულნი ნამდვილ სამეურნეო სწავლითა. ხოლო საქმე ის გახლავთ: რა გვარი საზოგადო განათლება უნდა წავუმძღვაროთ სამეურნეო სწავლასა? მოგეხსენებათ, რომ საზოგადო სწავლა ორ-გვარია: კლასიკური და რეალური. რომელს მათგანს უნდა მივსცეთ უპირატესობა?

ბევრნი და მათ შორის თვითონ გამგე კომიტეტი სააზნაურო სკოლისა ამჯობინებენ კლასიკურს სისტემასა იმ მოსაზრების ძალით, რომ გემნაზიები ბევრია და ჩვენ სასწავლებლიდგან უფრო მეტს მოწაფეს შეეძლება სახელმწიფო სასწავლებლებში შევიდეს და უნივერსიტეტამდე მიაღწიოსო. მათი აზრით, ოთხი პროგიმნაზიული კლასი უნდა ხელუხლებელი დარჩეს, ვინც აქედგან გემნაზიებში შევა, ხომ კარგი და ვინც ვერ ეღირსება ამ ბედნიერებას, იმათთვის უნდა გავხსნათ ცალკე სამეურნეო სასწავლებელი. ეს აზრი არა მარტო უსაფუძვლოა და შეუსაბამო, არამედ ფრიად მავნებელიცაა. ვიკითხოთ: ეხლამდელი სააზნაურო სკოლის პროგიმნაზიულ კლასებიდგან რავდენი გადადის მართებლობის გიმნაზიებში? მცირეოდენი ნაწილი, უმეტესობა-კი სხვა გზას ადგება, ან რჩება იმ სწავლის ამარა, რომელიც მიიღო სააზნაურო სკოლაში. შემდეგშიაც ესე იქმნება, რასაკვირველია. ათიდგან სამიოდე ეღირსება კლასიკურს გემნაზიას, შვიდი ჩვენს სამზრუნველოდვე დარჩება, და აი ესენი უნდა სამეურნეო სასწავლებელში გამოვზარდოთ. მერმე როგორი მეურნეები გამოვლენ? სწორედ იმისთანანი, როგორიც მომზადება გექმნებათ. ხოლო რას ასწავლის კლასიკური პროგიმნაზია, ჩვენ ეს ყველამ კარგად ვიცით. ნაგლეჯები ბერძნული და ლათინური გრამატიკებისა, ძველი ენების კანკლედობანი და ულვლილებანი—აი მთავარი ავლა-დიდება პროგიმნაზიის მოწაფეების გონებისა. სიტყვებით, ფრაზებით, გრამატიკების ფორმებით არის უმეტეს ნაწილად გამოტენილი მათი თავი. ამ სწავლას მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა იგი დამთავრდება და ძველის დროის ავტორების კითხვას შეაძლებინებს მოწაფესა. შუაზედ გადაწყვეტილი-კი ისეთივე უძლურია, როგორც უძლურია ყოველი სულდგმული, შუა წელზედ გადაჭრილი. ყოველ შემთხვევაში უარესად მომზადება სამეურნეო სწავლისათვის მოუფიქრებელი არის. სულ უსწავლელი უფრო ადვილად შეითვისებს ამ სწავლას, ვიდრე ის, ვისაც თავი გამოტენილი აქვს გრამატიკების ნაფლეთებითა... რა არის სამეურნეო სწავლა? ძალა, ხელობა, რომელიც აძლევს ადამიანს ღონისძიებას ბუნებას გამორჩეს, რაც შეიძლება მომეტებული. ხოლო ბუნებას ის იმსახურებს კარგად და ის გამოიყენებს, ვინც ზედმიწევნით იცის მისი კანონები, თვისებანი, მისი ავი და კარგი. რა აძლევს ადამიანს ამ ცოდნასა? ბუნების მეტყველება, როგორც ყველამ ვიცით. მაშასადამე, თუ სამეურნეო სასწავლებლისათვის გვინდა ვამზადოთ ქართველი მოზარ-

ქრივს ელისაბედ ჯავახიშვილისას მისმავე ხელზე მოსამსახურემ შერჩეულის გასაღებით სამწერლო სტოლიდამ მოჰპარა 452 მან., ფული და ოთხი მომგებიანი ბილეთი. დამნაშავეს დაეძებენ.

---

## ნიშანი

(მოთხრობა ვსევოლოდ გარშინისა)

(დასასრული *)

სემონა წავიდა გზის შემოსავლელად. ხედავს, ვიღაც მოდის ლიანდაგზედა; თავზე თითქო თეთრი რაღაც ახვევია. აკვირდება სიმონა— ვასილია: ხელში ჯოხი უჭირავს, მხარზედ პატარა ბოხჩა, ლოყა ხელსახოცით ახვეული აქვს.

— საით, მეზობელო? უყვირის სიმონა.

ვასილი ახლოს მივიდა. სახე აღარ ეტყობოდა: გათეთრებულიყო, როგორც ცარცი; თვალები შავად უბრიალებდნენ; ლაპარაკს ვეღარ ახერხებდა—ხმა უწყდებოდა.

— ქალაქში, ამბობს: მოსკოვში... სასამართლოში!

— სასამართლოში?! მაშ, საჩივლელად მიდიხარ? დაანებე თავი, ვასილ, დაივიწყე.

— ვერა, ძმაო, ვერ დავივიწყებ, გვიანღაა დავიწყება. ხედავ, სახეში გამარტყა, სისხლი გადმომადინა. მანამ ცოცხალი ვარ, არ დავივიწყებ, ეგრე არ დავტოვებ.

სიმონამ ხელი მოჰკიდა.

— დაანებე თავი, ვასილ, კარგს გეუბნები: კეთილი არა გამოვა-რა!

— რა კეთილი! მე-კი არ ვიცი, რომ კეთილი არა გამოვა-რა! მართალს ამბობდი ბედ-იღბალზედ. ჩემს თავს, ვიცი, კარგს არას დავაყრი, სიმართლის გულისთვის-კი, ძმობილო, თავს გამოვიდებ.

— ერთი მითხარ, რა იყო, რა მოხდა?

— რა მოხდა? დაათვალიერა ყველაფერი. სადარაჯოშიც შემოიხედა, ვიცოდი, რომ ყველაფერს მომკითხავდა, როგორც რიგია, მოვამზადე. უნდა წასულიყო, მე თხოვნა დავუწყე, მოჰყვა ყვირილს: „აქ გზას ვათვალიერებ და შენ-კი, ასეთ-ისეთო, ბოსტანზედა მთხოვო! აქ ტაინი სოვეტნიკები ბრძანდებიან, შენ-კი რაღაცა კომბოსტოთი ეჩრებიო“?

ვეღარ მოვითმინე, მკვახე სიტყვა ვუთხარი. არც ისეთი, მაგრამ იმან შეურაცხყოფად მიიღო. გამკრა სილა... მე ვდგევარ, თითქოს ეგრე უნდაო. წაბრძანდნენ. მე გონს მოვედი, დავიბანე პირი და აი მივდივარ.

— სადარაჯოს რას უშვრები?

— ცოლი დარჩება, არა უშავს-რა. ჯანდაბას მაგათი თავიცა და გზაც.

ადგა ვასილი, წასვლა დააპირა.

— მშვიდობით, სიმონ, ვინ იცის, ვიპოვი სამართალს, თუ არა?..

— განა ფეხით წახვალ?

— სადგურზედ ვსთხოვ, მუშა მატარებელზედ დამსვან. ხვალ მოსკოვში ვიქნები.

გამოემშვიდობნენ მეზობლები. ვასილი წავიდა. გადის დღე, მეორე, ვასილი არსაიდა სჩანს. იმის მაგივრად ცოლი მუშაობს: დღე და ღამე არა სძინავს. საწყალი დადნა ქმრის მოლოდინში.

მესამე დღეს რევიზიამ გაიარა.

ვასილი არსად იყო. მეოთხე დღეს სიმონამ დაინახა იმისი ცოლი. სახე დასიებოდა ცრემლებისაგან, თვალიგასწითლებოდა.

— დაბრუნდა ქმარი? ეკითხება სიმონა.

იმან ხელი გაიქნია, არაფერი უპასუხა და შინისკენ გასწია.

—

სიმონას, როცა ჯერ ისევ ბალღი იყო, ესწავლა სტვირის კეთება. ეხლაც დიდგულას სტვირს აკეთებდა და ნაცნობ კონდუქტორს ატანდა ქალაქში გასასყიდად. თითო სტვირში ორ კაპეიკს აძლევდნენ.

მესამე დღეს რევიზიის შემდეგ, დასტოვა სიმონამ ცოლი სახლში საღამოს მატარებლის დასახვედრად, თითონ-კი აიღო დანა და გასწია დიდგულას მოსაჭრელად. გადავიდა ლიანდაგიდგან და შეუგა აღმართს. ნახევარ ვერსის სიშორეზედ დიდი ჭაობი იყო. ახლოს მშვენიერი ბუჩქები იყო. დასჭრა სიმონამ მთელი კონა და გამოსწია სახლისკენ. მზე ჩადიოდა; სიჩუმე იყო ირგვლივ; ისმოდა მარტო ფრინველების ჭიკჭიკი და ფეხთ-ქვეშ გამხმარ ტოტების ტკაცა-ტკუცი.

გაიარა ცოტა კიდევ სიმონამ. მალე ლიანდაგიც გამოჩნდა. სიმონას ელანდება, რომ კიდევ რაღაცა ხმა ისმის, თითქოს სადღაც რკინა რკინასა სცემსო. გააჩქარა ფეხი სიმონამ. იმის სადარაჯოში იმ დროს გზას შეკეთება არ უნდოდა... „ნეტავ ეს რასა ნიშნავს“! ჰფიქრობდა სიმონა. გამოვიდა ტყიდგან. იმის თვალწინ ლიანდაგია, ზედა ზის მოკუნტული ადამიანი, რაღასაც აკეთებს. სიმონა ნელ-ნელა მიუახლოვდა: ეგონა ჰახრაკების მოსაპარავად თუ მოვიდა ვინმეო. უყურებს—კაცი ადგა: ხელში ცული უჭირავს. შეუგდო რელსს, ასწია და იქით გადააგდო. თვალთ დაუბნელდა სიმონას. უნდა დაიყვიროს, არ შეუძლია.

ხედავს—ვასილია. სიმონა მირბის ზევით. ვასილი-კი მეორე მხრიდგან საჩქხით და გასაღებით დაეშვა თავქვე.

— ვასილ?! თუ ღმერთი გწამს მობრუნდი! დავსდოთ რელსი, არავინ შეიტყობს! დაბრუნდი, დაიხსენი შენი სული ცოდვისაგან!..

ვასილი არ მობრუნდა; ტყეში მიიმალა.

დგას სიმონა რელსსთან; დიდგულები ხელიდგან გასცვინდა: მუშა მატარებელი ხომ არა, სახალხო მოდიოდა! ვერაფრით ვერ დააყენებ: ბაირაღი არ არის. რელსს ადგილზედ ვერ დასდებ, ცალიერა ხელებით ვერ დაამაგრებ. გაქცევა, გაქცევაა საჭირო იარაღის მოსატანად.

ღმერთო, გვიშველე!!

მირბის სიმონა თავის სახლისაკენ; სული უგუბდება. მირბის... აი საცაა დავარდება. ასი საჟენი დარჩა კიდევ მეტი არა... ესმის მატარებელმა დაიწივლა.

ღმერთო! შეიბრალე უმანკო სულნი!

თვალწინ უდგას სიმონას: მატარებელი ეჯახება რელსს, ხტება, ჰგლეჯს შპალებს და ამსხვრევს!.. მერმე იქვე გზაც უხვევს, მაღლობიც არის, მამატარებელი ვარდება ქვეით... მესამე კლასი-კი გატენილია ხალხით, პატარა ბალღებიც არიან. ეხლა სხედან, არაფერზედ არა ფიქრობენ!. ღმერთო, ჩამაგონე რამე! არა! სადარაჯომდის მირბენას და უკან დაბრუნებას ვეღარ მოვასწრობ! გამობრუნდა უკან სიმონა... ძალზედ გაიქცა. მირბის, აღარაფერი ახსოვს: თითონაც არ იცის, რა იქნება. მიიბინა გადმოგდებულ რელსამდის: დიდგულის ჯოხები ისევ იქა ჰყრია. დასწვდა სიმონა, წაავლო ერთს ხელი, თითონაც არ ესმის, რისთვის! გაიქცა ისევ. გაისმა მატარებლის ყვირილი. ესმის სიმონას: რელსებმა ნელა-ნელა ბზრიალი დაიწყეს. ძალა გამოელია სირბილი აღარ შეუძლიან. დადგა ასი საჟენის სიშორეზედ იმ საშინელ ადგილიდგან. უცბად თითქოს ელვამ გაუნათლა აზრი. მოიხადა ქუდი, ამოიღო ხელსახოცი: ამოიძრო წაღიდგან დანა, პირჯვარი გადაიწერა... ღმერთო, მაკურთხე!

დაირტყა დანა მარცხენა მლაჯზედ: გადმოსკდა სისხლი თბილ ნაკადულივით; დაასველა შიგ ხელსახოცი, გაშალა, მიაკრა ჯოხს და მაღლაააფრიალა თავისი წითელი ბაირაღი... დგას... აქნევს ბაირაღს.. მატარებელი გამოჩნდა... მაშინისტი არა ხედავს. მოვა ახლოს, მაშინ ძნელი-ღა იქნება დაყენება...

სისხლი-კი ისევ გადმოდის და გადმოდის!..

სიმონა ჰრილობას იკრამს; უნდა შესწყვიტოს სისხლის დენა, მაგრამ ვერ შესწყდა!.. ალბად, ღრმად დაიჭრა მკლავი! საწყალს თავბრუ ეხვევა; თვალებში შავმა ბუზებმა დაუწყეს ფრენა...

ცოტა ხანს შემდეგ თვალთ დაუბნელდა... ყურებში ზარის ხმა გაისმა!.. არც მატარებელს ხედავს, არც იმისი ხმაურობა ესმის: ვერ შევძლებ, დავვარდები, ბაირაღი ხელიდან გამვარდება; მატარებელი ჩემზედ გადაივლის!.. ღმერთო, მიშველე! გამოგზავნე ვინმე, რომ გამომცვალოს!.. ბინდი გადეკრა საწყალს თვალებზედ, აღარა ესმის-რა. აგერ ბაირაღიც ხელიდამ უცურდება... მაგრამ სისხლის ნიშანი არ დაეცა მიწაზედ: ვიღაცამ სტაცა ხელი და ასწია მაღლა... მატარებელი მოახლოვდა. მაშინისტმა დაინახა წითელი ბაირაღი და შეაყენა მატარებელი

გამოცვივდნენ მატარებლიდგან. შეჯგუფდა ხალხი. ხედავენ: კაცი წევს მთლად სისხლში მოსვრილი, უგონოდ; მეორე-კი სდგას გვერდით სისხლში ამოსვრილ ხელსახოცით ხელში. გადაავლო თვალი ვასილმა ყველას, ჩაღუნა თავი:

-- შემკარით, ამბობს, მე გადავიღე რელსი.

იმას ეპირა სისხლის ბაირაღი

შჩ.

*) იხ. «ივერია», № 176.

---

## დღეშა

17 აგვისტო

**პეტერბურგი.** გამოაცხდებულია გარდაწყვეტილება მინისტრთა კომიტეტისა იმის შესახებ, რომ არაყის ქარხანებს არ გამოერთმევათ წინდა, უკეთუ სპირტი დასაწმენდად იგზავნება, და არც პატენტის ფული, როცა სპირტი ერთის მექარხნისა სხვის ქარხანაში იწმინდება.

«Прав. Вѣст.» იუწყება, რომ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, უავგუსტოეს შვილებითურთ, გუშინ დილით ლიბავიდგან კოპენჰაგენს წაბრძანდნენ.

დამტკიცებულია წესდება სამეურნეო სასწავლებელში ნამყოფთა ურთიერთ დახმარების საზოგადოებისა.

**პარიჟი.** სან-სებასტიანტში, სადაც

---

დი თაობა, საჭიროა ეს ბუნების მეტყველება კარგად შევასწავლოთ. ჩვენ-კი ლათინურის და ბერძნულის გრამატიკების ზეპირებას ვთვლით საუკეთესო გზად მომზადებისათვის. მეტი უკუღმართობა და გზა-კვალის დაქსაქსა კიდევ იქმნება?... კლასიკური პროგიმნაზია ყველგან ამზადებდა და ამზადებს მხოლოდ კლასიკურ გიმნაზიისათვის. არსად და არას დროს არ გაგონილა და არ ნახულა, რომ ამ გვარს პროგიმნაზიას უმეტესი წილი მოწაფეებისა ემზადებინოს სამეურნეო სასწავლებლისათვის. და ჩვენ-კი უნდა განვახორციელოთ ეს უნახავი და გაუგონელი ამბავი. კარგია, განვახორციელოთ; მაგრამ რა შედეგს მივიღებთ, რა მომქმედს პირებს გამოგვიზრდის, ეს სასწავლებელი? ახირებულებს, არსად ნახულს მახინჯებს: ქვემო ნაწილი თავისა დაჭერილი ექმნებათ გრამმატიკის ნაფლეთებით, ზემო ნაწილი სამეურნეო რამეებს ეკავებათ. კარგი სალი განათლებული თავები იქმნებიან განა? ეს მახინჯები იქმნებიან მოკლებულნი კლასიკურის სწავლის ღირსებასაცა, რეალურისაცა და სამეურნეოსაცა. ამისთანა გამოუსადეგარ არსებათათვის უნდა ხარჯოს თავად-აზნაურობამ იმდენა ფული? ასე საქმის დაყენება მოკლე ხნის განმავლობაში ცხად ჰყოფს სრულს გამოუსადეგრობას ჩვენის სამეურნეო სკოლისას და სამუდამოდ პირქვე დაამხობს მას.

„პროგიმნაზიას ჩვენ მხოლოდ დროებით დავჯერდებითო“, ამბობს კამიტეტი,—რამწამ ნივთიერს ღონისძიებას ვიგდებ ხელში, მაშინვე გიმნაზიის კლასებსაც გავხსნითო, რომ მთელი კურსი გიმნაზიისა ჩვენს სასწავლებელში აასრულონ ხოლმე და სხვა სასწავლებელში გადასვლა აღარ მოუნდეთო. რაც შეეხება მომავალს სამეურნეო სასწავლებელსაო, მასში სხვა სასწავლებლიდგან მივიღებთ მოწაფეებსაო. ამ აზრს ბევრი თანაუგრძნობს. მაგრამ თუ საგანს კარგად დავუკვირდებით და ჩავუფიქრდებით, ამ გზასაც არამც თუ შეუსაბამოდ, შეუძლებლად ვცნობთ.

ჩვენ ყოველს ამ დროს ვსმენთ და ვკითხულობთ წლიურს ანგარიშს საზნაურო სკოლისასა. ერთი ცნობა ყველაზედ მეტს ყურადღებას ითხოვს. ეს ცნობა მდგომარეობს იმაში, რომ ორმოცი მოწაფიდგან, რომელიც მოსამზადებელს კლასებში სწავლობს, მეოთხემდის მიაღწევს ხოლმე მხოლოდ ოთხი-ხუთი. სხვანი ან სახელმწიფო სასწავლებლებში გადადიან, ან სულ თავს ანებებენ სწავლასა. წარმოვიდგინოთ ახლა, რომ ჩვენ გავხსენით მეხუთე კლასი. რავდენი მოწაფე გვეყოლება? ორი, სამი. შემდეგ მივაბით მეექვსე კლასი, აქ რიცხვი მოწაფეებისა სულ მიილევა, მეშვიდემდის და მერვემდის-კი არც ერთი მოწაფე არ უწევს. გვეყოლება მასწავლებლები, გვექმნება კლასები, სტოლები, წიგნები, მოსამსახურეები, გვეხარჯება ჯამაგირები, მაგრამ ერთი მცირე რამე-კი გვაკლდება, გვაკლდება ისა, რისთვისაც ყველა ეს არის საჭირო—მოწაფეები. ამ სახით ჩვენი კლასიკური გიმნაზია დაემსგავსება იმ უბედურს მდინარეებსა, რომელთაც სათავეც აქვთ, შუა წელიცა; მაგრამ მერმე-კი თანდათან ილევიან და სრულიად ჰქრებიან ქვიშიან ნიადაგში, და მოკლებულნი არიან სხვა მდინარეების ბედნიერებას —უწიონ რომელსამე ზღვამდის, ან ტბამდის და შეუერთონ მათ თავისი წყალი...

ამბობენ: მაგას უებარი წამალი აქვსო. მოვუპოვოთ უფლება ჩვენს ქართულს გიმნაზიას და მოწაფეები ბლომად შეგვეჩხებიანო. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ წამლის სყიდვას ჩვენი ჯიბე ვერ შესწვდება და თუნდაც შესწვდეს კიდეც, იგი არამც თუ უებარი არ არის, მავნებელია, რადგანაც ახლანდელის სატკივრის ნაცვლად ჩვენს სასწავლებელს იგი შეჰყრის უფრო უარესს სენსა.

უფლების მოპოებისათვის საჭიროა გადავსცეთ ჩვენი სასწავლებელი მთავრობას. ხოლო მთავრობა მაშინ ჩაიბარებს მას, როდესაც წარვუდგენთ იმდენა თანხას, რომ მისი სარგებელი საკმარისი იყოს სრულის სასწავლებლის შენახვისათვის. სრულს გიმნაზიაზედ წელიწადში დაიხარჯება არა ნაკლებ 40,000 მანეთისა. ხომ დიდი თანხა უნდა ამ სარგებლის ამოღებასა? სად გვაქვს ამდენი თანხა? და არამც თუ ამდენი, თუნდ მცირე ოდენიცა? ჩვენდა სავალალოდ, საქმეს ისეთი მიმდინარეობა მივეცით, ისეთი წინდაუხედაობა გამოვიჩინეთ, რომ სააზნაურო სკოლა ეხლა ვალით ინახება, იგი არსებობს ბანკის მომავლის მოგებით და არა შემოსულით. სხვა რაიმე წყაროც არსადა სჩანს.

მაგრამ ვსთქვათ, რომ სასწაული მოვახდინეთ, შეუძლებელი შევიძლეთ, საჭირო თანხა ვიშოვნეთ და გარდავეცით მთავრობას ჩვენი სასწავლებელი. რა შედეგი მოჰყვება ამასა? ჯერ ის შედეგი, რომ სკოლის გამგე კომიტეტს არაფერი გავლენა აღარ ექმნება სკოლის მართვისა და მიმართულობაზედ, მას დარჩება მხოლოდ ეკონომის მოვალეობა—თავის დროზედ აძლიოს საჭირო ფული და აწარმოვოს ანგარიშის წიგნები, სხვა აღარაფერი ეკითხება. თუ იგი, მაგალითად, მოინდომებს ქართულს ისტორიას აქნდეს თუნდა ცოტაოდენი ადგილი სავალდებულო საგანთა შორის, პასუხად მიიღებს (და უკვე მიღებულიც არის): საქართველოს ისტორია რუსეთთან შეერთებამდის მსოფლიო ისტორიის ნაწილს შეადგენსო და რუსეთთან შეერთების შემდეგ არის ნაწილი რუსეთის ისტორიისაო, და რა საჭიროა მისი ცალკე სწავლებაო. თუ მოისურვებს, რომ ქართული ენა სავალდებულო იყოს და არა მაჩანჩალა, უპასუხებენ: ეგ ოფიციალურს პროგრამმას ეწინააღმდეგება და შესაძლებელია მხოლოდ მსურველთათვის კვირაში ერთხელ-ორჯელ მეექვსე გაკვეთილი ვუწყალობოთო. ჭაჭანებაც აღარ იქმნება მაშინ იმ ქართველის სულის და გულისა, იმ ეროვნულის ღირსებებისა, რომელთათვის, უმთავრესად გახსნა საზოგადოებამ ცალკე სასწავლებელი და იკისრა დიდი ფულის ხარჯვა ყოველს წელსა.

იაკობ გოგებაშვილი

(შემდეგი იქნება.)

იმყოფება ისპანიის დედოფალი—რეგენტი, მანიფესტაციები იმართება სავასტას წინააღმდეგ. ჯარმა თოფი დაუშინა მანიფესტანტებს, ზოგი დაიჭრა და ზოგიც მოკლულ იქმნა. ხალხი მეტად აღელვებულია. დედოფალი მადრიდს მიდის. ერთს სამხედრო ხომალდს ებრძანა სან-სებასტიანს წავიდეს. თუ მანიფესტაციები განმეორდა, ქალაქში ომიანობის კანონი იქმნება გამოცხადებული. დედოფლის სასახლესა და სასტუმროს, სადაც სავასტა სდგას, ჯარი იცავს.

**ვენა**. აქ დაარსდა საერთაშორისო თესლეულობის სავაჭრო. დაფასებამ აღმოაჩინა, რომ მოსავალი ავსტრი-ვენგრიაში ისეთი არ არის, როგორისაც იმედი ჰქონდათ; ქვავი და შვრია საზღვარ გარედ გასატანი არ იქნება. ინდოეთში 1½ მილიონი ტონი ხორბალი მოსულა, შარშანდელზედ მეტი; ხოლო ჩრდილო-ამერიკაში 130 მილ. ბუშელით ნაკლები, ვიდრე 1892 წ.; შვრია არსად მოსულა. რუსეთისა და რუმინიის გარდა, ხორბლის საქმე ყველგან შეჩერდა სრულიად.

18 აგვისტო

**პეტერბურგი**. დღეს გარდაიცვალა ეპისკოპოსი პსკოვისა გერმოგენი.

ხარკოვში დღეს დაიწყო კრება სამთამადნო მწარმოებელთა.

**ვენა**. ლვოვიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ კვლავ ნება დართულია რუსეთიდგან ცხენების გადმოყვანა, რადგანაც საზღვართან ქოთაო მოისპო. ვენაში გარდაცვალებულ მუშის გვამი გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ ხოლერით გარდაცვლილა.

**კილი**. პარასკევს აქ მოვიდა გემით ორი ფრანცუზი, რომლებიც იმ წამსვე დააპატიმრეს, ჯაშუშები არიანო. ერთმა სთქვა, რაულ დიუბუა ვარო, მეორემ მორის დამეო. პირველი ამტკიცებს მიწის მწარმოებელი ვარო, ხოლო მეორე ნოქარიო.

პეტერბურგის ბირჟა, 17 აგვისტო

| | მყიდვე-ლისა. მან. კ. | გამყი-დველისა. მან. კ. | გაყიდუ-ლისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,79 | 7,82 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155½ | 156½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 238 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 222 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 192¼ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 101 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების | — ,, | — ,, | 98¾ |

## გამოსადეგი ცნობანი
## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის: . 9 2 წ. სად.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სად.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. სად.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისი თ საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალ-

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევიე 2 საათამდე. (150—92)



„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი გრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . | „ | 15 |
| ცდა I, და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |



# გამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით იღებენ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

**ი. ф პროტასევიჩი**, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით მიიღებენ:**

**ი. გ. ჩეპურკოვსკი**, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. ა. გადომსკი**, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ქ. ი. ფრანციუსი**, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.


## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა ერთი (41) ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—31 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში—2 (8 და 9 წლ. ყმაწვ.), მესამე განყოფილებაში—4 (9 და 10 წლ. ყმაწვ.) და მეოთხეშიაც—4 (10 და 11 წლ. ყმაწვ.). პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთში არ არის თავისუფალი ადგილი.

2.) 41 ვაკანსიისაგან 37 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ოთხი (4) პანსიონში—ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ ოთხს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების სრულს ხარჯზე და ერთი (1) ნახევარს ხარჯზე.

3.) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქმნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისათანავე და ნახევარი იანვარში.

გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანათი—ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4.) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისგან, გ) მოწმობა ტფილისის სადავად-აზნაურო ბანკიდან, რომ იგი ირიცხება ხსენებულის ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა ან გარედ მოსიარულედ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატა ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილისყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეკზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის-რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვს შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდან.

8) შესაძლებელია მარიამობის თვეში, მოწაფეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხრჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანს წელიწადში, ოცი თუმანი—ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით Въ Тифлисъ. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной ул. въ д. Гургенбекова.

10) მარიამობისთვის 26, 27 და 28 რიცხვებს მოხდება მისაღები ეკზამენები და ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილნი იქმნებიან ეგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალის $18^{93}/_{94}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს (4—21).

Доз. ценз. Тифлисъ, 18-го Августа 1893 г. სტამბა მ შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე